

საგარეო ვალი და საინვესტიციო პოტენსიალი

ილია შარაშენიძე
სტუ-ს დოქტორანტი

საგარეო ვალი იმ გარე ფაქტორებს მიეკუთვნება, რომელსაც არსებითი ხასიათის ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საინვესტიციო პოტენციალზე. სახელმწიფოს მიერ ვალის აღების პრაქტიკა ათასწლეულებს ითვლის. XX საუკუნის დასასრულისთვის მან განსაკუთრებით დახვეწილი ხასიათი მიიღო. ამ დროს ჩამოყალიბდა განვითარებადი ქვეყნების დაკრედიტების შეღავათიანი სისტემა, ამასთანავე, განხორციელებულ იქნა ღონისძიებათა სისტემა მსგავსი ქვეყნებისთვის კრედიტის მოცულობის შემცირების, შესაბამისად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების მისაღები დონის უზრუნველყოფისთვის.

სახელმწიფოს მიერ საგარეო ვალის აღება, ერთი მხრივ, მიუთითებს მოცემული ქვეყნის მიმდინარე საინვესტიციო პოტენციალის სიმცირეზე, მეორე მხრივ, საგარეო ვალი შეიძლება გახდეს მომავალში ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის ზრდის წყარო. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საგარეო ვალის მოცულობამ შეიძლება მიაღწიოს ისეთ ნიშნულს, რომ საფრთხე შეუქმნას ქვეყნის შემდგომ განვითარებას. როგორც წესი, მიღებულია, რომ საგარეო ვალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 30%-ს.

განვითარებადი ქვეყნებისთვის საგარეო ვალის მაღალი ღონისგან მოსალოდნელი საფრთხეების აცილების მიზნით 1996 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა შეიმუშავეს ახალი პროგრამა (HIPC), რომელშიც მოცემული იყო ყველაზე გაჭირვებული ქვეყნების მიმართ ახლებური მიდგომები. პროგრამაში თავიდან 41 ქვეყანა მოხვდა, რომელთაგან უმრავლესობა აფრიკის ქვეყნებს წარმოადგენდა. ამ ქვეყნების საერთო საგარეო ვალი 200 მლრდ ამერიკულ დოლარამდე იყო, ხოლო ამ ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობა 600 მლნ ადამიანს შეადგენდა [2].

HIPC ფარგლებში შემუშავებულმა ღონისძიებებმა საშუალება მისცა ამ ქვეყნებს შეემსუბუქებინათ საგარეო ვალის განვითარებაზე ნეგატიური ზემოქმედება. მან საშუალება მისცა პროგრამაში ჩართულ ქვეყნებს ის თანხები, რომელიც ვალის გასტუმრებაზე უნდა ყოფილიყო მობილიზებული, მიემართათ სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამის განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელ მსოფლიოში ადგილი აქვს საგარეო ვალების ზრდის სწრაფ ტემპებს. კერძოდ, 1980 წელს მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ვალები 500 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, 1985 წელს – 1 000 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო 2000 წლისთვის – 2000 მლრდ აშშ დოლარს.

განვითარებადი ქვეყნებისთვის სავალაო წნეხის შემსუბუქებისა და სხვა მიზნებიდან გამომდინარე, დღეისათვის მრავალი ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომლებშიც გაერთიანებულია, როგორც მოვალე, ისე კრედიტორი ქვეყნები. კერძოდ ასეთ ორგანიზაციათა შორის განსაკუთრებით ცნობილია პარიზის კლუბი. სხვადასხვა სამიტზე ტორონტოში (1988 წ.), ტრინიდადში (1990 წ.), ლონდონში (1991 წ.), ნეპალში (1994 წ.) განვითარებადი და მცირე შემოსავლიანი ქვეყნებისთვის ვალების შემცირების მიზნით, შემუშავებულ იქნა კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას იძლევა გაიქვითოს ვალების გარკვეული ნაწილი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ სახელმწიფო ვალის წარმოშობის ძირითად მიზეზებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის დეფიციტურ ბიუჯეტს, ამასთანავე, მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილის აზრით, საგარეო ვალი მომავალი თაობისთვის დატოვებული მძიმე მემკვიდრეობაა, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგარეო ვალი გარკვეულ ფარგლებში საშიში არ არის, პირიქით მან შეიძლება ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას და მთავარია, ვალების ზრდის ტემპი ჩამორჩებოდეს მშპ-ის ზრდის ტემპს.

როგორც მრავალ განვითარებად ქვეყნებში, საქართველოშიც საგარეო ვალის წარმოშობის ძირითადი მიზეზია დეფიციტური ბიუჯეტი და ქვეყანაში წლების მანძილზე არსებული ეკონომიკური დაქვეითება, თუმცა აღსანიშნავია, რომ საგარეო ვალის ზრდის პარამეტრები მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდში მიმდინარე მშპ-ის სტაბილური ზრდის პირობებშიც.

2007 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს საგარეო ვალმა (სახელმწიფოს მიერ და

ილია შარაშენიძე

სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები) 1790049 ათასი აშშ დოლარი, 2849043 ათასი ლარი) შეადგინა, რომელიც სამი უმთავრესი წყაროსგანაა მოზიდული (მრავალმხრივი კრედიტორები, ორმხრივი კრედიტორები და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები). კერძოდ, მრავალმხრივი კრედიტორებისგან მიღებულმა კრედიტებმა ამ პერიოდისთვის 1253052 ათასი აშშ დოლარი (1994358 ათასი ლარი) შეადგინა, რაც მთლიანი ვალის 70%-ზე მეტია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის (883465 ათასი აშშ დოლარი, 49,35%), ევროგაერთიანების (84230 ათასი აშშ დოლარი, 4,7%), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (11 204 ათასი აშშ დოლარი,

0,6%), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (249462 ათასი აშშ დოლარი, 139%), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (24691 ათასი აშშ დოლარი, 1,4%) კრედიტები.

რაც შეეხება ორმხრივი კრედიტორებისგან მიღებულ თანხებს, მისი საერთო მოცულობა 522972 ათას აშშ დოლარს (832362 ათას ლარს) შეადგენს, რაც მთლიანი ვალის 29,12%. ამ ჭრილში გამოირჩევა გერმანია, რომლის მიერ საქართველოს მხარის მიმართ გამოყოფილია რვა კრედიტი. საერთო მოცულობით 168592 ათასი აშშ დოლარი (მთელი საგარეო ვალის 9,8%). გერმანიის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტების მიზანი იყო კერძო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, გარდაბნის

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა და სტრუქტურა (31.XII, 2007 წელი)

		ვალის ნაშთი მოცემული წლისთვის (ათასი)		
		აშშ დოლარი	ლარი	%%
	სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტი, სულ მ.შ.	1790049	2849043	100
	მრავალმხრივი კრედიტორებისგან:	1253052	1994358	70,0
1	მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია	883465	1406123	49,35
2	ევროგაერთიანება	84230	134061	4,7
3	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	11204	17682	0,6
4	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (მიმღები ეროვნული ბანკი)	249462	397044	13,9
5	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	24691	39295	1,4
	ორმხრივი კრედიტორებისგან	522972	832362	29,1
1	ავსტრია	1844	2935	0,1
2	აზერბაიჯანი	14464	23021	0,8
3	თურქმენეთი	4654	7407	0,3
4	თურქეთი	47625	75800	2,7
5	ირანი	11356	18074	0,6
6	რუსეთი	120495	191779	6,7
7	სომხეთი	17508	27866	1,0
8	უზბეკეთი	382	608	0,02
9	უკრაინა	349	555	0,02
10	ყაზახეთი	27774	44205	1,6
11	ჩინეთი	-	-	
12	გერმანია	168592	265333	9,8
13	იაპონია	47712	75938	2,7
14	კუვეიტი	14227	22643	0,8
15	ნიდერლანდები	6155	9797	0,3
16	ამერიკის შეერთებული შტატები	39635	62401	02,2
	სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები	14025	22322	00,78
1	გერმანია	4265	6789	00,02
2	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	9760	15533	00,5

ჰიდროელექტრო-სადგურის სიმძლავრეების ამოქმედება, თბილისსა და ქუთაისში საკომუნიკაციო სატელეფონო სადგურების დამონტაჟება. გარდაბნის მეცხრე ბლოკის აღდგენა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გერმანიის მიერ გამოყოფილი კრედიტები თავიანთი დანიშნულებით მნიშვნელოვან როლს არსულებენ საქართველოში საინვესტიციო პოტენციალის გაუმჯობესების პროცესში.

ასევე მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის წილი (6,7%) საქართველოს საგარეო ვალში (120495 ათასი აშშ დოლარი) და, რომ რუსეთის მიერ საქართველოსადმი გამოყოფილია სამი კრედიტი.

საქართველოს საგარეო ვალში აღნიშნული ქვეყნების გვერდით გამოირჩევიან თურქეთი და იაპონია, რომელთაგან თითოეულის წილი საქართველოს საგარეო ვალში 2,7%-ს შეადგენს.

სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები საანალიზო პერიოდისთვის 14025 ათას აშშ დოლარს (22322 ათას ლარს) შეადგენს, რაც სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების მთლიანი მოცულობის 0,78%-ია. ამ მიმართულებით აღებულია გერმანიისგან 4265 ათასი აშშ დოლარი, 0,02% და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან 9760 ათასი აშშ დოლარი, 0,5%.

წარმოდგენილი საანალიზო პერიოდის შემდგომ საქართველოს საგარეო ვალის პარამეტრები რამდენადმე გაუარესდა, რაც დაკავშირებულია საქართველოს მიერ 0,5 მლრდ-ის მოცულობით ევროობლიგაციების გამოშვებასთან. ასევე, საქართველოს მიერ აღებული ვალების უდიდესი ნაწილის მიმართ, მეცნიერ-ეკონომისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა ევროობლიგაციების გამოშვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საქართველოს მიერ საგარეო ვალის აღების მიზანშეწონილებასა და მის მიზნობრიობას, მისი დახასიათება შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალების ანალიზის საფუძველზე [2]. კერძოდ, საქართველოსადმი (მიმღები ეროვნული ბანკი) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილია სამი კრედიტი. I კრედიტი სისტემური ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მიზნით ორ ტრანშად 1994 და 1995 წლებში იქნა გამოყოფილი. და მთლიანი თანხა 75,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. II კრედიტი 1995 წელს იქნა ასევე ორ ტრანშად გამოყოფილი და სარეზერვო კრედიტის სახელითაა ცნობილი. რაც შეეხება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მესამე კრედიტს, რომლის მიზანიც სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოების მხარდაჭერა იყო, 188,3 მლნ აშშ დოლარის ოდენობისაა და იგი 1996-1998 წლებში იწოდება, როგორც III ტრანში.

საქართველოს ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა აქვს მსოფლიო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (მსოფლიო ბანკი). იგი ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო, რომელმაც საქართველოსთვის კრედიტების გამოყოფა დაიწყო და ეს ურთიერთობები 1992 წლიდან ფუნქციონირებს, თუმცა მსოფლიო ბანკმა I კრედიტი საქართველოს 1994 წელს გამოუყო, რომელთა ძირითადი მიზნები იყო ინსტიტუციონალური განვითარება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, სტრუქტურული გარდაქმნების მხარდაჭერა, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ელექტროენერგეტიკის, კერძო სექტორის საწარმოთა რეაბილიტაცია, კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერა, ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურისაცია და ა.შ. ამჟამად მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის 20 პროექტის განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლიდან მსოფლიო ბანკმა საქართველოს 13 კრედიტი გამოუყო (176,8 მლნ აშშ დოლარი), რომელთაც, ასევე მრავალფეროვანი მიზნები აქვთ და მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევენ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს.

რაც შეეხება ევროპის გაერთიანებას, 1992 წლიდან ევროგაერთიანების მიერ საქართველოს სამი კრედიტი გამოეყო. აქედან, I კრედიტის წარმოშობა დაკავშირებულია 1992 წელს საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებასთან (70 მლნ ეკიუ). მას სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდა და საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენისთვის იყო გამიზნული. ანალოგიური დანიშნულება ჰქონდა ევროკავშირის II (1993 წელი, 10 მლნ ეკიუ) და III (1993 წელი, 40 მლნ ეკიუ) კრედიტებს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ საქართველოს დავალიანება 24691 აშშ დოლარს შეადგენს, რომელიც სამი კრედიტის მიღების შედეგადაა წარმოქმნილი. აქედან I კრედიტი დაკავშირებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქენერგოს მიერ გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებასთან და მისი მიზანი რიონისა და გარდაბნის ჰიდროელექტრო-სადგურების მოდერნიზაცია იყო. II კრედიტი

„თბილისის აეროპორტის ფასია“ და ანალოგიურად, თბილისის აეროპორტის მოდერნიზაციას ისახავდა მიზნად, ხოლო III კრედიტი თავისი არსით საკრედიტო ხაზს წარმოადგენდა და ითვალისწინებდა მცირე ბიზნესის განვითარებას.

საქართველოს საგარეო დავალიანება აქვს კიდევ ერთი ისეთი საერთაშორისო ინვესტორის მიმართ, როგორიცაა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი. აღნიშნული ორგანიზაციიდან მიღებული კრედიტების მიზანი (1997 წელი, 11204 ათასი აშშ დოლარი) სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა პროექტების განხორციელების მხარდაჭერა იყო.

ამგვარად, საქართველოს საგარეო ვალდებულის ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში მიღებულმა კრედიტებმა, ზოგადად, ხელი შეუწევს ეკონომიკური დაქვეითების პროცესის შეწყვეტის მხარდაჭერას, ქვეყანაში სოციალური ფონის გაუმჯობესებას. საინვესტიციო პოტენციალის ფორმირებისა და გამოყენების თვალსაზრისით მიღებულმა საგარეო ვალდებულებამ გარკვეულწილად შეასუსტა საინვესტიციო პოტენციალის გაჩანაზგების პროცესი და ხელი შეუწყო მის შენარჩუნებასა და მობილიზებას. ამასთანავე, ამჟამად არსებული ქაღალდის მოცულობა პასუხობს ფინანსური უსაფრთხოების პარამეტრებს და მომავლისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმების წარ-

მოშობისთვის საფუძველს არ ქმნის. აღსანიშნავია, ასევე, რომ საგარეო ვალდებულების გამოყენების ეფექტიანობის საკითხები დღეისთვისაც საკმაოდია. ქვეყანაში ამ პერიოდისთვის არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა კრედიტი ზუსტად დანიშნულებისამებრ და მაღალი ეფექტიანობით არ იქნა გამოყენებული, მაგრამ ერთი ცხადია, მათ შეძლეს ქვეყანის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოყვანის ხელის შეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. შარაშენიძე სახელმწიფოს როლი საინვესტიციო პოტენციალის ფორმირებაში (თეორიულ-კონცეფციური ასპექტები). ჟურნალი „ეკონომიკა“. 2008.
2. შ. მურდულია, გ. გველესიანი, დ. ნარმანია, გ. ხუციშვილი, ო. კონჯარია. საქართველოს საგარეო ვალი. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №105. 2007.
3. თ. მოხევიშვილი, ინვესტიციების ორგანიზაცია და დაფინანსება საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა“. 2007, №7-9. 38-40 გვ.
4. ა. სიჭინავა ინვესტიცია და ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების დონის მაჩვენებლები. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2007, №10-12, 16-24 გვ.
5. Global Competitiveness Report 2006-2007.

EXTERNAL DEBT AND INVESTMENT POTENTIAL

ILIA SHARASHENIZE
PhD student of GTU

Based on study of the mentioned issues, in the part of results and their considerations the following results are provided:

Direct foreign investments play significant role in the process of transfer of industrial capacities, technologies transfer, management and innovative experience for the host country. Based on the above, the effect on socioeconomic condition of the host country from foreign investments is reflected on the following two directions: support to economic growth and improved effectiveness of use of the national resources.

Like many other developing countries, the major reasons of creation of the external debt in Georgia is budget deficiency and economic fall for many years in the country. At the same time, the parameters of growth of the external debt were significant in the recent period, even in the conditions of stable growth of current GDP.

In the past period of socioeconomic transformation the credits obtained by Georgia, generally contributed to improvement of economic situation and social background. With respect of formation and use of the investment potential the external debts have reduced the process of elimination of the investment potential and contributed to its maintenance and mobilization. Current external debt amount correspond to the financial security parameters and does not provide any basis for creation of any significant threats in the future.

Institutional improvement of its role in the process of description of Georgian banking system and mobilization of the investment potential it is of significance to provide effective conditions for functioning of the National Bank. It is of key significance to achieve independence of the National Bank and ensure high confidence of the society.